

ქვეყნის მომავალი თანამშრომლობის პარმონიზაციაში!

ქვეყნის მთავარი პარადოქსი არის ის, რომ მდიდარ ქვეყანაში ვცხოვრობთ ღარიბად! რატომ? პასუხი მარტივია: მართვის სისტემა მახინჯი, რომელიც ებრძვის ძლიერს, აყალიბებს სუსტთა იდეოლოგიას და ვიღებთ „ფულისუფლების“ ქვეყანას, მაშინ როცა საქართველოს ბუნებრივი გზა ნიჭის ძალაუფლებაზე გადის.

საქართველოს უდიდესი პოტენციალის ადამიანები ჰყავს. ეს ქვეყნის ოქროს ფონდია და სწორედ ეს ხალხი უნდა იყოს წარმოდგენილი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მთელ ვერტიკალში.

ქვეყნი ბატონპატრონი ხალხი უნდა იყოს და არა - ხელისუფლება! სწორედ ამიტომ მივმართეთ ჩვენ პოლიტიკურ პარტიებს, რომ შეგვექმნა „ეროვნული თანხმობის პარლამენტი და მთავრობა“. მეციერთა ეს შეთავაზება, ამწუხაროდ, ყრუ კედელს შეეჯახა. ჩვენ ამის შემდგომ დაგვჩა ერთადერთი გზა, პირდაპირ მიგვემართა საზოგადოებისთვის და მასთან კავშირში შეგვექმნა საარჩევნო სიების შედგენის პრინციპები, პირდაპირ გვეთქვა ხალხისთვის, რომ ქვეყნის მომავალი პიროვნებათა პარლამენტში, პროფესიონალებშია, ზნეობრივ და გაუსყრელად ადამიანებშია. მიუხედავად იმისა, რომ სრულად ჩაგვიკეტეს საინფორმაციო სივრცე, ჩვენ საზოგადოებასთან ერთად მაინც შევძელით საარჩევნო სიების ფორმირების ქვეყნისთვის საჭირო კრიტერიუმების შემუშავება და სამომავლო კადრების მოძიება.

დიდი მადლობა იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც გაიზიარებენ ჩვენს მიერ შემუშავებულ პრინციპებს და საარჩევნო სიებს დააკომპლექტებენ ცნობილი მოღვაწეებისა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მიერ რეკომენდებული პიროვნებებისგან.

ჩვენ დაპირისპირებას მივიჩნევთ სისუსტედ და ქვეყნის მომავალს თანამშრომლობის პარმონიზაციაში ვხედავთ.


მეცნიერთა კონგრესის სახელით.

ამირან აფციაური - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი
რეზო ბალანჩივაძე - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი
ჯუმბერ ბოლდაშვილი - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი
რამაზ გახოკიძე - ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
ანზორ თოთაძე - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
ჯუმბერ კოპალიანი - ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი
მანუჩარ მაჩაიძე - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი
რამაზ ნამიჭიშვილი - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
ლუარა ნიჭარაძე - ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი
ლევან ოდიშარია - ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი
გია სიგუა - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი
ვახუშტი ფარცვანია - ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი
პაატა შავაძე - სამართლის დოქტორი
თეიმურაზ შაშიაშვილი - გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. პარტია „თეთრების“ თავმჯდომარე
ვახში ჟვანია - კიბერნეტიკოსი, მართვის სისტემების მეცნიერებათა დოქტორი

ვითანამშრომლოთ: www.civilizebuli.ge; ელ. ფოსტა: civilizebuli@gmail.com

ჩვენ სხვა გზას ვირჩევთ!

„თეთრები“ იწყებენ მეცნიერებით და იმარჯვებენ ხალხთან ერთად!



ჩვენი საარჩევნო სია დგება მეცნიერთა მიერ შემუშავებულ პრინციპებზე დაყრდნობით. ჩვენ მიგპაჩნია, რომ ეს არის გზა სიკეთით გამარჯვების - ხალხის გამარჯვების!

ქვეყნის გადაარჩენის გზა

მეცნიერთა კონგრესის საქმიანობამ დაგვარწმუნა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, საკადრო პოლიტიკის ამოსავალი არ არის ქვეყნის პოტენციალი. ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ქვეყნის შესაძლებლის 7-10 პროცენტზე მეტის მოქმედებაში მოყვანა, საქართველოში ბიუჯეტის 1 ლარი 15-25 თეთრის საქმეს აკეთებს. დამკვიდრდა პირადი ერთგულებით კადრების შერჩევის ავადმყოფური სისტემა, რომელიც ებრძვის ძლიერს და, რომელსაც ხელისუფლებაში მოჰყავს სუსტი. ამ სისტემის დამკვიდრებას ხელი შეუწყო პოლიტიკის ქუჩაში გადატანამ. ფაქტიურად, 30 წელია, ქვეყანა ქუჩით იმართება და ხელისუფლებაში დომინირებენ ქუჩის პოლიტიკოსები.

შედეგად, ქვეყანაში არის პროფესიონალიზმის, წესიერების, ქვეყნისადმი ერთგულების და, რაც მთავარია, ზნეობის დეფიციტი. ეს განსაკუთრებული სიმწვავით დგას პარტიებში. პროფესიონალებს, ზნეობრივ ადამიანება აქვთ პარტიების მიუღებლობა. ანუ ისინი ერიდებიან არა მარტო პარტიის წევრობას, არამედ პარტიებთან თანამშრომლობასაც კი. კანონმდებლობა კი მხოლოდ პარტიის წევრებს აძლევს შესაძლებლობას, იყოს ხელისუფლებაში. მწარე სიმაართლეა, საქართველოში სუსტი ხელისუფლების არსებობა კანონმდებლობითაა გარანტირებული, რომლის გარღვევის გარეშე, შეუძლებელია

ქვეყანაში რეალური პოზიტიური პროცესების განვითარება, ქვეყნის მუშაობა შესაძლებლის მაქსიმუმზე.

ჩვენ გაცილებით მეტად ვიცნობთ იმ ადამიანებს, რომლებიც სახალხოდ და საჯაროდ იბრძვიან თანამდებობებისთვის, პარლამენტარობისთვის, ე.წ. თანამდებობისთვის მებრძოლებს, „პროფესიონალ პატრიოტებს“ და „ქუჩის დემოკრატებს“.

ორი მწარე შეფასება მომავლისთვის:

პირველი - ამჟამად, რომ დღეს პარტიებს გარეთ გაცილებით საინტერესო და საჭირო ხალხია მომავლის საქართველოსთვის, ვიდრე პარტიებში.

მეორე - ჩვენში უფრო აფასებენ მყვირალა, გამოგონილ და თვითმარქვია პოლიტიკოსს, ზოგჯერ უცნობს, ვიდრე აკადემიურ, დარბაისელ, ხატოვნად რომ ვქვათ, „წყნარ“ ნაცნობს. მაშინ როდესაც სრულიად საპირისპირო პროცესებია ევროპისა და საერთოდ, მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებში: თუ 15-20 წელი ვერ ხედავენ პოლიტიკოსის საქმიანობის შედეგებს, მას არ ირჩევენ. ე.ი. დემოკრატიულ ქვეყნებში არ ირჩევენ უცნობს, საქართველოში კი, არ ირჩევენ ნაცნობს.

ეჭვით უნდა შევხედოთ ყველას, ვინც პარლამენტისკენ გარბის, მაგრამ შევეხვეწოთ ყველას, ვინც ამისთვის არ იბრძვის, მაგრამ საქმის კეთების დიდი რესურსი აქვს.

ვერც ერთი არჩევნები ვერ მოგ-

ვცემს ისეთ შედეგს, როგორც სოფელში, ქალაქში, რაიონში ხალხთან ღიად სასაუბროდ ჩასული ავტორიტეტული ადამიანების შეხვედრა-საუბრები ხალხთან. სოფელზე უკეთ არავინ იცის, ვინ არის ამ სოფელში ყველაზე ავტორიტეტული. აქვე ვთქვათ, ტრაგედიაა, რომ დემოკრატიზმზე და დემოკრატიულ საქართველოზე გველაპარაკებიან ისინი, ვინც ათწლეულებია, სოფელსაც კი არ ენდობიან თავიანთი თავკაცის არჩევას და ზემოდან უნიშავენ.

ყველგან იყვენ სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პოლიტიკოსები და ზნეობრივი ადამიანები. ზვიად გამსახურდიას გარემოცვაში, ედუარდ შევარდნაძის პერიოდის პარლამენტებშიც, ასლან აბაშიძესთანაც, მიხეილ სააკაშვილთანაც, ბიძინა ივანიშვილთანაც, ირაკლი ლარიბაშვილთანაც, გიორგი კვირიკაშვილთანაც არიან დღევანდელ - გახარიას ხელისუფლებაშიც.

ჩვენი ამოცანაა, საზოგადოებასთან ურთიერთობაში შევძლოთ ასეთი ადამიანების გამოკვეთა, მათი ხელისუფლებაში შენარჩუნება, თუ სახელისუფლებო არენაზე დაბრუნება.

ამომრჩეველთა თითქმის ნახევარზე მეტი გასულია ქვეყნის გარეთ, რომელთაც დიდწილად უნდა ვუმაძღვოდეთ, რომ თუნდაც უარეს მდგომარეობაში არ ვართ. მათ უნდა ჰქონდეთ საშუალება საქართველოს პარლამენტში ჰყავდეთ თავისი ნა-

რომადგენლები. დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან ერთად, რათა მოვიძიოთ ადამიანები, რომლებსაც კარგი ურთიერთობა აქვთ იმ ქვეყნების მოსახლეობასთანაც, ხელისუფლებასთანაც და დიასპორაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ. ამ პროცესში ჩართვა ყველას შეუძლია.

უბედურება ის კი არ არის, რომ ხალხს არ უყვარს ან კრიტიკულად არის განწყობილი პოლიტიკოსების მიმართ, არამედ ის, რომ პოლიტიკოსებს არ უყვართ ხალხი. რომ პოლიტიკოსებს არ ესმით ხალხის, რომ პოლიტიკოსებისთვის ხალხი საარჩევნო მასაა. ამაზე შეურაცხყოფელი რა უნდა იყოს!

დღეს ქვეყანას აქვს უმძიმესი პრობლემა: მართვის სისტემა ავადმყოფი და ის არა უბრალოდ უნდა შეიცვალოს, არამედ უნდა დაინგრეს და ახლი აშენდეს. ამის გაკეთება შეუძლიათ მხოლოდ ჯანსაღ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პროფესიონალებს სუფთა ადამიანებს, რომელთაც საქმით აქვთ დადასტურებული ქვეყნისა და ხალხისადმი ერთგულება და არასდროს მხარი არ დაუჭერიან ანტი-სახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული გადანყვებილებისთვის, რომლებიც პოლიტიკაში მიდიან თავგანწირული შრომისთვის და არა ფულისა და ზიზნისთვის.

მართვის სისტემაში ყველაზე არასაიმედო ადამიანია და საქვეყნოდ

მომართულია ის, ვისაც ეს გაცნობიერებული აქვს და უპირატესობას ანიჭებს მდგრადი მართვის სისტემის შექმნას. ამის გაკეთება არ შეუძლიათ მოქმედ პოლიტიკურ ძალებს. მით უფრო ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილთ.

ჩვენ შევთავაზებთ ყველა პოლიტიკურ პარტიას, რომ შეგვექმნა „ეროვნული თანხმობის პარლამენტი“ - პიროვნებათა პარლამენტი და ერთი საარჩევნო პერიოდი უარი გვეთქვა პარტიულ პარლამენტზე, რადგან ქვეყანა მაშინ ინგრევა, როცა მართვის სისტემა აგებულია პიროვნებაზე, როცა პარტიები ერთიანდებიან ვინმეს წინააღმდეგ და არა ქვეყნის ინტერესებისათვის. როცა ქვეყნის ერთგულებას ანაცვალებენ უფროსისადმი ერთგულებას; როცა მყარდება ფულის ძალაუფლება, უგულვებელყოფილია ნიჭიერება და პოლიტიკაში მოდიან ფულისა და ფულიანებისადმი მონური ფსიქოლოგიის ადამიანები, როცა პოლიტიკოსებს ხალხის აზრი კი არ აინტერესებთ, არამედ უცხოელი პატრონების, როცა ქვეყნის გარეთ პატრონებს ვეძებთ და არა მეგობრებს, როცა პოლიტიკური დაპირისპირება სცდება პოლიტიკური სიძულვილის ფარგლებსაც კი და ბიოლოგიურში გადადის.

დღეს, საქართველოში რეალურად ეს მდგომარეობაა. ჩვენ არ ვიცვლით პოზიციას. გადარჩენა პროფესიონალებშია. ზნეობრივ სუფთა და რწმენის ადამიანებშია. ხალხის მიერ შერჩეულ ადამიანებშია და არა ერთი კაცის პოლიტიკური გემოვნებით დაკომპლექტებულ გუნდებში. ამას უკვე 30 წელია, ვხედავთ, რაც დრო გადის, ღარიბი კიდევ უფრო ღატაკდება და მდიდარი კიდევ უფრო მდიდრდება. რეალურად მივიღეთ: ყალბი ეროვნული პათოსი, დემოკრატიის თამაში, სოციალური დემაგოგია და ელიტარული კორუფცია... ვცხოვრობთ სიყალბეში, ბატონობს პოლიტიკური მაფია.

ჩვენი სურვილია, შეიქმნას ისეთი სისტემა, რომელიც მოგვცემს ხელისუფლებას მყვირალა, თვითმარქვია და ქუჩის პოლიტიკოსების გარეშე. შექმნის პროფესიონალთა საარჩევნო გუნდს, რომლის შემადგენლობა ხალხიდან უნდა წამოვიდეს და ამ გუნდის ყველა წევრმა უნდა იცოდეს, რომ ის ხალხის და ქვეყნის წინაშეა პასუხისმგებელი და არა პარტიის, პოლიტიკოსის, თუნდაც, ხელისუფლების წინაშე.

ამ სიაში ვერ მოხვდება ვერც ერთი, ვინც:

- მხარი დაუჭირა ქართული მიწის, სტრატეგიული ობიექტების, ეროვნული სიმდიდრის გაყიდვას;

- მხარი დაუჭირა პასპორტიდან ეროვნების ამოღებას, რითაც პრაქტიკულად ეროვნება გაუთანაბრა მოქალაქეობას... მხარი დაუჭირა პასპორტიდან მამის სახელის ამოღებას და პრაქტიკულად, უთვისტომოდ გვაქცია.

- მხარი დაუჭირა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას, ანუ ისეთ კანონების მიღებას, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ტრადიციულ ფასეულობებს;

- 2005 წელს მხარი დაუჭირა განათლების კანონს, სადაც სიტყვა „მშობელი“ ამოღებულია მაშინ, როცა ეს საერთაშორისო კონვენციაშიც კი არის ჩანერი; და სადაც განათლების უპირველეს ამოცანად მიჩნეულია: „ლიბერალურ დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სა-მოქალაქო ცნობიერების ჩამოყალი-

ბება“ და 2019 წელს, მხარი არ დაუჭირა იმ შესწორებებს, რომელიც მენციერებმა, მეცნიერებმა აკადემიამ შესთავაზა (პრაქტიკულად, საქართველოში უგულვებელყოფილია ცივილიზებული სამყაროს ლიბერალიზმი და გაბატონებულია მახინჯი, ველური ლიბერალიზმი, ლიბერალიზმი, მემერჯენე ანარქიზმი, რომელიც ნაციონალიზმზე უარესია).

- მხარი დაუჭირა საფინანსო და ეკონომიკური სისტემების ცენტრალიზაციას და უუფლებოდ დატოვა ქვეყნის რეგიონები.

- მიიღო გადაწყვეტილება, თბილისსა და ქუთაისში დავით აღმაშენებლის ძეგლების დემონტაჟთან დაკავშირებით, შეეძლო იმ ადგილზე მათი დაბრუნება სადაც თავის დროზე დაიდგა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა - კურთხევით, ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებით.

- მონაწილეობდა ეკლესია მონასტრების დარბევა-დანგრევაში.

- ასევე პრინციპულად ვთვლით და მიგვაჩნია, რომ ამ სიაში არ უნდა იყოს არც ერთი პიროვნება, ვინც:

- დააფუძნა საქართველოში სოროსული ორგანიზაციები; „თავისუფლების ინსტიტუტი“;

- ფინანსდებოდა ან ფინანსდება რუსეთიდან, სოროსიდან, ვისაც პირადად, ან მის პარტიას აქვს მიღებული მიხეილ სააკაშვილის და ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური ფული

- პარტიიდან პარტიაში მომთაბარეობს, „პატრონის“ ჯერ ქებით მოდის პოლიტიკაში და მერე მისი ლანძღვით რჩება;

- თანამშრომლობდა და დღესაც თანამშრომლობს უცხოეთის სპეცსამსახურებთან (ჩვენ ვითხოვთ ლუსტრაციის კანონის მიღებას თუნდაც იმ ხალხისთვის, ვინც არის ხელისუფლებაში ან აპირებს ხელისუფლებაში მისვლას);

- გამდიდრდა სახელმწიფო მსახურში ყოფნის დროს, ანუ მაშინ, როცა საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ღარიბდებოდა.

- ვინც მიითვისა სახელმწიფო ბიუჯეტის (ანუ ხალხის ფულის) თუნდაც ერთი ლარიც კი.

პროფესიონალთა სიაში უნდა იყვნენ ის ადამიანები:

- რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ, რომ ხალხის, ეკლესიისა და ხელისუფლების ურთიერთთანამშრომლობის გარეშე, ქვეყანას არ აქვს მომავალი... რომლებიც აცნობიერებენ, რომ ქვეყნის ბატონ-პატრონი ხალხია და არა ხელისუფლება და მზად არიან მხარი დაუჭირონ რეფერენდუმის კანონის იმ ფორმაში მოყვანას, რომ ხალხს ნებისმიერ დროს ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობაც, შეცვალოს მის მიერ არჩეული პარლამენტის ის კანონი, რომელიც არ შეესაბამება ხალხის და ქვეყნის ინტერესებს. მეტიც, ასეთ შემთხვევაში, პარლამენტის დათხოვნის უფლებაც კი ჰქონდეს.

- რომლებიც აღიარებენ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეების მიერ შემუშავებულ და ხელმოწერილ მოქმედების მანიფესტს - „ერთი სამშობლო, ერთიანი ერი, გაერთიანებული სახელმწიფო“... სამოქმედოდ მიიჩნევენ მენციერთა მიერ შემუშავებულ ქვეყნის განვითარების კონცეფციას „გზა ცივილიზებული სახელმწიფოსკენ“ და პროგრამულ დო-

კუმენტს „ახალი განზომილება - რა შევცვალოთ, რომ გადავრჩეთ“.

- რომლებიც იზიარებენ მენციერთა მიერ შემუშავებულ მომავლის საქართველოსთვის ბრძოლის შემდგომ პრიორიტეტულ მიმართულებებს:

- პირველი - განათლება და მეცნიერება სახელმწიფოს საძირკვლის უპირველესი ქვაკუთხედი.

- მეორე - მენარმეობის დაცვის გარეშე, არ არსებობს ეკონომიკის მდგრადი განვითარების ელემენტარული იმედიც კი. დაცული მენარმეა ქვეყნის ძლიერების ქვაკუთხედი. მენარმე კი დაცული უნდა იყოს ინსტიტუციონალურად და არა ხელისუფალის პირადი შეხედულებებისა და ახლობლობის მიხედვით. ხელისუფლებამ მენარმე უნდა დაიცვას თავისუფალი და პატიოსანი კონკურენტული გარემოს შექმნისა და შენარჩუნების უზრუნველყოფით;

- მესამე - კულტურა და მეცნიერება, ეროვნული და პოლიტიკური ოპტიმიზმის საფუძველი. სწორედ ოპტიმიზმი სჭირდება ნიჰილიზმით, პესიმიზმითა და სიძულვილით გაჯერებულ ქართულ სივრცეს.

- მეოთხე - ქართული სოფელი, როგორც ქვეყნის უძველესი კულტურული ფენომენი.

- ჩვენ უნდა შევარჩიოთ ისეთი ხალხი, რომლებიც ხელისუფლებაში მისვლის შემდგომ, ზემოთ აღნიშნული ოთხი პრიორიტეტული მიმართულების საერთო-სახალხო განხილვის საფუძველზე შეიმუშავენ გარე სამყაროსთან ურთიერთობის პროგრამას - ქართული ინტელექტითა და ქართული ბიზნესით, ამ სიტყვის ყველაზე მაღალი გაგებით.

- საარჩევნო სიაში თავისი წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს:

- საქართველოს ყველა რეგიონს, აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს (როგორც ეს დააკანონა ნაცმოძრაობის ხელისუფლებამ) ყველა სხვა რეგიონის და, სასურველია ყველა ქალაქისა და რაიონის ჩათვლით;

- უცხოეთის იმ ქართულ დიასპორებს, რომელ ქვეყნებშიც დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ჩვენი თანამემამულეები;

- ყველა ეთნიკურ ჯგუფს;

- ყველა პროფესიასა და თობას (ჩვენ კარგად უნდა ვნახოთ მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილება, რომლის მიხედვითაც პარლამენტებსა და მნიშვნელოვან თანამდებობებზე ინიშნებიან სუფთა წარსულის მქონე გამოცდილი პროფესიონალები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა 40 წელს ზემოთაა)

- ეს უნდა იყოს გუნდი, რომლის თითოეული წევრიც: მხარს უნდა უჭერდეს დემუტატის გამოწვევას, უარს უნდა ამბობდეს დემუტატის იმუნიტეტზე, ყოველგვარ პრივილეგიებზე, პარტიების ბიუჯეტიდან დაფინანსებაზე, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ცხოვრობდეს ხალხის ცხოვრებით, ცხოვრობდეს ისე, როგორც ხალხი ცხოვრობს და პარლამენტიდან, თანამდებობიდან მიდიოდეს იგივე ქონებით, რაც გააჩნდა მისვლის დროს.

- ეს უნდა იყოს გუნდი, რომელიც ამკაცრებს ბრძოლას სეპარატიზმის წინააღმდეგ, ემიჯნება ყოველგვარ გადაწყვეტილებას, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად ხელს უწყობს ნაკომანიის ლეგალიზებას, უშვებს საქართველოს მოქალაქეების მონა-

წილეობას სათამაშო ბიზნესში.

კატეგორიულია ყველა იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც უშვებს საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების შეცვლას, იქნება ეს ჰესების უკონტროლო მშენებლობა, თუ ბუნებაზე ზემოქმედების სხვა საშუალებები.

- ეს უნდა იყოს გუნდი, რომელიც იბრძვის დღევანდელი ველური საბანკო სისტემის წინააღმდეგ. ხელს უწყობს რეალური სამენარმეო სექტორის განვითარებას და აქვს პროგრამა დემოკრატიის უმთავრესი საყრდენის, საშუალო ფენის სწრაფი შექმნის, რომლის საინვესტიციო პოლიტიკა უნდა ემსახურებოდეს ქართული სახელმწიფოს ინტერესებს.

- ეს უნდა იყოს გუნდი, რომელსაც ექნება დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნის რეალური პროგრამა, პროკურატურის და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების, ერთიანი საგამოძიებო სისტემის ჩამოყალიბების პროგრამა. გუნდი, რომლის პროგრამაც რეალურს გახდის ხალხის მონაწილეობას რეგიონებში მოსამართლეთა, პოლიციის, აუდიტის და განათლების ხელმძღვანელთა შერჩევაში. ჩვენ ვთვლით, რომ ყველა ხელმძღვანელი რომელიც რეგიონის მოსახლეობის ინტერესებთან არის დაკავშირებული, უნდა ირჩეოდეს უშუალოდ ხალხის მიერ.

- ეს უნდა იყოს გუნდი, რომელიც დაიცავს ხალხს საყოველთაო ვაქცინაციისა და ჩიპიზაციისაგან... რომელიც მიუღებლად თვლის გენ-მოდირებული პროდუქტების მოხმარებას, პესტიციდების გამოყენებას სოფლის მეურნეობაში.

- ეს უნდა იყოს გუნდი, რომლისთვისაც ადამიანი მიზანია და ყველაფერი საშუალება... რომელიც უპირველესად მიიჩნევს ადამიანის იმუნიტეტის ამაღლებას.

- ვინაიდან საარჩევნო სია ყალიბდება მეცნიერთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით და ხალხის, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მონაწილეობით, ამ გუნდს უნდა შეეძლოს მეცნიერული პროგრამების როგორც შედგენა, ასევე მისი რეალიზაცია...

- პარლამენტის საარჩევნო გუნდის თითოეული წევრი უნდა იცავდეს ყოველი ადამიანის ბუნებრივ, ანუ რეალურ კონსტიტუციურ უფლებებს:

- სიცოცხლის უფლებას;
- სიტყვის თავისუფლებას
- საკუთრების უფლებას
- მისწრაფებას უკეთესი ცხოვრებისკენ

- სიცოცხლის უფლებიდან გამომდინარე, უნდა იბრძოდეს იმისთვის, რომ საქართველოს ყოველ მოქალაქეს ჰქონდეს საცხოვრისი, საარსებო მინიმუმი, გარანტირებული სამედიცინო მომსახურება და განათლების მიღების თანაბარი უფლება.

- ჩვენი პოზიცია აქაც ურყევია: ხელისუფლება, რომელიც ამ ბუნებრივ და კონსტიტუციურ უფლებებს ვერ უზრუნველყოფს, საკუთარ თავს კონსტიტუციაზე მაღლა აყენებს და ავტომატიურად უნდა დადგეს ასეთი ხელისუფლების იმპიჩმენტის საკითხი. და საერთოდ, იმპიჩმენტის პროცედურაც გაადვილებული უნდა იყოს.